პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | სამშაბათი, 7 აპრილი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ. თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 75 (773) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## არმიის კომუჯრედების მდივნების და აგიტპროპ მომუშავეთა თათბირის დასრულების გამო.

კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის კომუჯრედების მდივნების და აგიტპროპმომუშავეთა თათბირი დასრულდა.

უნდა ითქვას, რომ ის იშვიათი ნაყოფიერობით ჩატარდა. ყველა საკითხები, რომელიც იდგა თათბირის წინაშე ამოწურულ იქმნა საფუძვლიანად. მთელი წარსული მუშაობის გამოცდილება, მიღწევები და ნაკლი პარტიულ მუშაობის სფეროში და აგიტპროპაგანდის დარგში ჯეროვნად გამოყენებულ იქმნა თათბირის მიერ. მთავარი რაც წითელ ზოლივით არის გატარებული თათბირის ყველა დადგენილებებში ეს არის დისციპლინის საკითხი, წითელ არმიელთა სამხედრო პოლიტიკური აღზრდის საქმე, წითელ არმიელთა მასების დაახლოვება პარტიასთან და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გაცხოველება.

ყველა ამ საკითხების ცხოვრებაში სათანადოთ გასატარებლად თათბირმა მიუთითა პარტიას ყველა საჭირო ღონისძიებებზე და დაუსახა მას შესაფერი პრაქტიკული ნაბიჯები.

მეტი კავშირი წითელ-არმიელთა მასასთან, მეტი დაახლოება მასთან და თავის გავლენის ქვეშ მათი მოქცევა—აი რა დაავალა პარტიის ძირითად ორგანიზაციებს ანუ ასეულის კომუჯრედებს თათბირმა.

ეს ამოცანა მათ ერთ წუთს არ უნდა დაივიწყონ და თავის ყოველ დღიურ მუშაობაში უნდა გაატარონ ცხოვრებაში.

თათბირმა გადასჭრა მრავალი საკითხები აგიპროპაგანდის საქმეშიც.

ამ მხრივაც მან მოგვცა გარკვეული ხაზი, რათა პოლიტიკურ—კულტურული მუშაობა მეტის ნაყოფიერობით წავიდეს წინ და ამასთანავე მასში ჩაებას აქტიურად რაც შეიძლება წითელ არმიელთა მეტი რიცხვი.

ლენინის კუთხეების გამოცოცხლება, ანტირელიგიური პროპაგანდის კარგად დაყენება, თვით მომქმედ ორგანიზაციების (რემედასის, საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების და სხვ.) მუშაობის გაცხოველება და სხვა.

ერთი სიტყვით არ დარჩენილა არც ერთი ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვანი საკითხები პარტმუშაობის თუ აგიპროპაგანდის საქმეში, რომ მისთვის არ გაეცეს პასუხი თათბირს. ყველაფერზე თათბირმა მისცა პასუხი, აილო გეზი. საჭიროა მხოლოდ მისი ცხოვრებაში გატარება.

გასკეცებული ენერგიით და ძალღონით შეუდგეთ ამ დადგენილებათ ცხოვრებაში გატარებას.

## პრეზიდენტის არჩევნების გარშემო გერმანიაში.

### მარქსი და ჰინდენბურგი.

მარქსმა მიიღო კანდიდატურა პრეზიდენტობაზე ვეიმარის ბლოკიდან, რომელშიაც შედიან სოციალ—დემოკრატები, დემოკრატები და ცენტრი. მემარჯვენე პრეს-ს ნაწილი ასახელებს კანდიდატად ჰინდენბურგს იარესის მაგივრად.

მემარჯვენე პარტიების ბლოკმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება აწარმოონ სასტიკი ბრძოლა მარქსის კანდიდატურის წინაამდეგ.

## საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია ლონდონში.

8 აპრილს მოხდება საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციისა და ინგლისის პროფკავშირთა მთავარი საბჭოს შეერთებული სხდომა. ახლო დღეებში დელეგაცია ინახულებს ცალკე პროფკავშირებს ბრამლის თანხლებით.

# ახალი რადიო—ამბები

## კომუნისტების დევნა იტალიაში.

რომში დააპატიმრეს კომუნისტი ტოლიატი, რომელსაც აბრალებენ მონაწილეობას „კომუნისტურ შეთქმულებაში". ასეთივე ბრალდება წაუყენეს ადრევე დაპატიმრებულ კომუნისტებს—ფორინის, ბუტტისა და სხვებს, რომლებიც ნამდვილად კი ლეგალურ მუშაობას ატარებდენ გლეხთა პარტიის სექციაში და პარტიულ გამომცემლობაში.

## დემონსტრაციები ბელგიაში.

### კომპარტიის წარმატება.

ბელგიის კომპარტიამ ლიეჟის ახლოს მოაწყო მანიფესტაცია, რომელიც დიდის წარმატებით ჩატარდა.

10.000 მეტი მუშა მონაწილეობას ღებულობდა დემონსტრაციაში; მათ მთელი ქალაქი შემოიარეს ინტერნაციონალის სიმღერით.

აღფრთოვანება, რომლითაც ჩატარებულ იქნა მიტინგი და დემონსტრაცია, აშკარად ამტკიცებს, რომ მომავალ არჩევნებში დიდი წარმატება ექნებათ კომუნისტებს.

## ვეჩორკევიჩისა და ბაგინსკის მკვლელობის გარშემო.

### აშკარად მფარველობენ ჯალათებს.

ვეჩორკევიჩისა და ბაგინსკის მკვლელი—მურაშკო გადაეცა სააპელიაციო სასამართლოს პროკურორს ვილნოში და მოთავსებულ იქნა ვილნოს ციხეში.

ვილნოს გაზეთებმა „სლოვომ" და „დზენიკ ვილენსკიმ" დაიწყეს შეწირულების დაგროვება მურაშკოს ოჯახის სასარგებლოდ,

## საბერძნეთ-სამხრეთ-სლავიას ხელშეკრულების წინ.

ამ დღეებში ბელგრადში დაიწყება საბერძნეთისა და სამხრეთ-სლავიის მოლაპარიკება ურთიერთობის კავშირის დადების შესახებ.

## პანების პოლონეთში.

### პოლონეთის კომკავშირელთა პროცესი.

დამთავრდა პოლონეთის კომკავშირელთა გასამართლება. მათ ბრალად ედებოდა პოლონეთის კომკავშირთა კონგრესზე მონაწილეობაში 1923 წ. 16 ბრალდებულიდან—4-ს მიუსაჯეს 4 წლის საკატორღო ციხე, 6 კაცს—3 წლის, 3 კაცს—2 წლის, 2 კაცს—წელიწად ნახევრის ციხე. დანარჩენი სამი გაამართლეს.

### სოფლის მეურნე-მუშათა დაპატიმრება.

პოლონეთის სხვა და სხვა ადგილებში პოლიციამ დააპატიმრა მრავალი სოფლის მეურნე—მუშა, რომლებიც რამოდენიმე დღეა გაფიცული არიან. გაფიცვები ფართოვდება.

### პოლონეთის საქმიანი წრეები შეფიქრებული არიან.

პოლონეთის პრესა აღნიშნავს ბაგინსკისა და ვეჩორკევიჩის მკვლელობის წინააღმდეგ გამართულ პროტესტის დემონსტრაციებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოსკოვში, ლენინგრადში და მინსკში. სამრეწველო წრეებში მკვლელობამ განგაში გამოიწვია ვაჭრობის მომავალი ბედისთვის საბჭოთა კავშირთან.

## გლეხის ცენტრალურ სახლის საზეიმო გახსნა.

კვირას, 5 აპრილს უნდა მომხდარიყო საქ. ცენტრ. გლეხის სახლის საზეიმო გახსნა, რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოს საბჭოთა ყრილობის გახსნასთან. მაგრამ რადგანაც ყრილობის დელეგატები დღის თორმეტი საათისათვის კიდევ არ იყვნენ ჩამოსულნი ყველა მაზრებიდან, ამიტომ „გლეხის სახლის" გახსნა გადაიდო მეორე დღისათვის.

### ისტორიული დღე გლეხებისათვის.

ორშაბათს დღის 2 ნახ. საათზე საბჭ. ყრილობის დელეგატებმა, ტფილისში მყოფმა გლეხებმა, მუშებმა და წითელ-არმიელებმა დაიწყეს დენა „გლეხის სახლის" ეზოში. მოდიან აგრეთვე მუშა-მოსამსახურეებიც.

ტრიბუნაზე ადის, თეთრწვერა მოხუცი, იწყებს სიტყვას... ეს ამხ. მიხა ცხაკაიაა. იგი საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის სახელით „გლეხის სახლს" აცხადებს გახსნილათ. ტაში და ვაშას ძახილი ფარავს ბელადის სიტყვებს.

ამხ. ცხაკაიას მოკლე სიტყვის შემდეგ ტრიბუნაზე გამოდის ცენტრალურ სახლის გამგე და მისი მოჭირნახულე, დაუღალავი ამხანაგი დ. ნასარიძე. იგი ეხება ზოგადათ „გლეხის სახლის" მნიშვნელობას და აღნიშნავს თუ რა უნდა გაკეთდეს ან რას აკეთებენ ამ ჟამად. „ინტერნაციონალი"-ს და ვაშას ძახილი ფარავს მისი სიტყვის დასასრულს.

### ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა.

ვრცელი სიტყვით გამოდის ამხ. მახარაძე. ეს ისტორიული დღეა, ამბობს ის. დღემდე თუ ჩამოსულ გლეხს სოფლიდან არ შეეძლო მისულიყო ისეთ ადგილზე, სადაც მას არ მოატყუებდენ, დღეს მას ეხმარება საბჭოთა მთავრობა და გაუხსნა სასახლე.

ამხ. ფილიპე ვრცლათ ჩერდება „გლეხის სახლის" მნიშვნელობაზე. აღნიშნავს, რომ სახლი ხელს შეუწყობს მუშებისა და გლეხების დაახლოებას, რომ ეს დიდი ნაბიჯია „პირი სოფლისაკენ" ლოზუნგის განხორციელების მხრივ და სხვა. გარდა ამისა გლეხის სახლი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეების გლეხთა ერთი-მეორესთან დაახლოებას.

დასასრულ ორატორი, გამოსთქვამს სურვილს ყველა ის მიზნები, რომელიც დასახული აქვს „გლეხის სახლს" განხორციელებულიყოს და არ დარჩენილიყოს მარტო მიზნებათ.

— გაუმარჯოს ცენტრალურ გლეხის სახლს, გაუმარჯოს გლეხობას—! ათავებს ამხ. ფილიპე.

### მისალმებანი.

ამხ. დ. ნასარიძე კითხულობს მისასალმებელ დეპეშებს. მოსკოვიდან, სომხეთიდან და აბხაზეთიდან.

მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან აგრეთვე, სომხეთის ცენტრალურ „გლეხის სახლის" სახელით და „მარტაკოჩის" რედაქციიდან, აჭარისტანის გლეხებისაგან, და სხვა.

ტფილისელი მუშების სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს **ლადო სუხიშვილი**. იგი აღნიშნავს, რომ გლეხის სახლში, ჩამოსული გლეხები მუდამ იპოვიან მხურვალე დახვედრას ტფილისელი მუშებისაგან.

— აქ ჩვენ განვახორციელებთ ნამდვილ ძმობას, სიყვარულს და ერთობას ჩვენ სოფლელ მოძმეებთან,—ამბობს ამხ. ლადო,—ძველათ სასახლეებში სჭედავდენ მუშათა კლასის მონობის ჯაჭვებს, ეხლა კი ჩვენ უნდა გამოვჭედოთ თავისუფლება და ძმობა—ერთობა.

— გაუმარჯოს ამ თავისუფლებისა და ძმობა-ერთობის სასახლეს, გაუმარჯოს გლეხის სახლს;

### აჭარელი გლეხების სალამი.

აჭარელი გლეხების სახელით, მგრძნობიარე, მდაბიო, სიტყვით, გამოდის გლეხი იუნუს ბერიძე.

### წითელი არმიიდან.

წითელი არმიელების სახელით მიესალმა აგრეთვე წით. არმ. პოლიტხელი ამხ. როსნაძე. მან აღნიშნა გლეხთა სახლის მნიშვნელობა და განაცხადა, რომ წითელ არმიელები, მუდამ მზად იქნებიან გლეხებისა და მუშების ინტერესების დასაცავათ.

# სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების მესამე ყრილობა.

**პირველი სხდომა.**

კვირას, 5 აპრილს 6 საათზე რუსთაველის თეატრში გაიხსნა სრ. საქ. მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოების მესამე ყრილობა.

ყრილობის პირველ, საზეიმო სხდომას ხსნის ამხ. მ. ცხაკაია, რომელიც ამბობს:

— ამხანაგებო! სანამ შეუდგებოდეთ ყრილობის მუშაობას, შეუძლებელია ჩვენი სულიერი განწყობილების თანახმად არ მოვიხსენიოთ:

პირველად,—დიდი მასწავლებელი და მსოფლიო პროლეტარიატის მეთაური ამხ ვლადიმერ ილიასძე ლენინი.

ამავე დროს ჩვენ დავკარგეთ ძვირფასი ამხანაგები: ნარიმანოვი, ვლადიმიროვი და მარხლევსკი.

შემდეგ არის დიდი სამწუხარო, განსაკუთრებით ჩვენთვის, ამიერ-კავკასიისათვის ძვირფასი ამხ. ალიოშა მიასნიკოვი, გიორგი ათარბეგოვი და სოლომონ მოგილევსკი. მათთან ერთად დაიღუპა ორი პატიოსანი მუშაკი ამხ. შპილი და სადარაძე.

ჩვენთვის დიდია ყველა ეს დანაკლისი. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ მათ ხსოვნას.

ყრილობა მოწიწებით ფეხზე დგება. მუსიკა უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს.

ამას შემდეგ ამხ. მიხა მოკლე მიმოხილვას უკეთებს საქ. ცენტ. აღმასკომის მუშაობას. აღნიშნავს საქართველოს. გასაბჭოების მნიშვნელობას.

შემდეგ ამხ. მიხა ეხება ჩვენი რესპუბლიკების საგარეო მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ ევროპაში დღეს თითქოს ბურჟუაზიამ მოიკიდა ფეხი, ინგლისში კონსერვატორები მეფობენ, საფრანგეთის მთავრობა ერიოს სახით პუანკარეს გზა-კვალს დაადგა, მაგრამ სამაგიეროთ ევროპის პროლეტარიატის თანაგრძნობა საბჭოთა კავშირისაკენ არის მიპყრობილი და სხვა...

ბოლოს ამხ. მიხა შეეხო ამხ. ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მკვლელობის საკითხს და დაახასიათა პოლონეთის პანების თავასულობა.

ამხ. მიხას შემდეგ გამოვიდა ამხ. ოტიაშვილი (მუშა), რომელიც ვრცლად შეჩერდა აგრეთვე პოლონეთში მომხდარ საზიზღარ მკვლელობაზე. მან დაახასიათა ბურჟუაზიულ პოლონეთის საშინელი შურისძიება რევოლიუციონერებისადმი და მოუწოდა ყრილობას პროტესტი განაცხადონ პოლონეთის მთავრობის მიერ დაქირავებულ მკვლელების ვერაგულ მოქმედების წინააღმდეგ.

ილაპარაკა აგრეთვე გლეხმა დელეგატმა მელაძემ, რის შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც დაგმობილია პოლონეთის მშრომელი ხალხის ჯალათების და იმპერიალისტების გულის მოსაგებათ მომუშავე პოლონელი პანების მოქმედება და მოითხოვს საკავშირო მთავრობისაგან მიიღოს გადამწყვეტი ზომები, რათა აღვირ ახსნილ პოლონელი პანების მთავრობამ ველარ გაბედოს შემდეგში რაიმე მსგავსის განმეორება.

**მისალმების დეპეშები.**

ყრილობამ მიიღო მისალმების დეპეშები: აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოსაგან, ნახიჩევანის მშრომელებისაგან, ცენტრალურ პარტიულ სკოლიდან და სხვა.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე საზღვარგარეთიდან ახალი საქართველოს რედაქციისაგან *) გამოგზავნილი მისალმების დეპეშა.

**დღის წესრიგის მიღება.**

ყრილობამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1. ს. ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება.
2. მიწად-მოქმ. კომისარიატის მოხსენება.
3. სახ. მეურნეობის საბჭოს მოხსენება.
4. მოხსენება ტერიტორიალურ ნაწილების შესახებ.
5. მოხსენება საბჭოთა ქვედა აპარატების შესახებ.
6. განათლების სახალხო კომ. მოხსენება.
7. სასოფლო სამეურნეო კრედიტის შესახებ.
8. ამიერ-კავკასიის კონსტიტუციის განხილვა.
9. არჩევნები.
10. მიმდინარე საკითხები.

**პრეზიდიუმის არჩევნები.**

დღის წესრიგის მიღების შემდეგ მოხდა არჩევნები.

საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს შემდეგი ამხანაგები:

სტალინი, კალინინი, რიკოვი, ზინოვიევი, კამენევი, კრუპსკაია, ფრუნზე, ლანცუცკი, აგამალი-ოღლი, ამბარცუმიანი.

საქმიან პრეზიდიუმში:

ცხაკაია, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, მახარაძე, ელიავა, გეგეჭკორი, სტურუა ვანო, ოკუჯავა მიხა, ქართველიშვილი, კახიანი, სუხიშვილი, თოდრია სილიბისტრო, ნაზარეტიანი, გუსეინოვი მ. დ., დოლიძე ანდრო, კორკ, ყურულიშვილი, დარახველიძე, ორახელაშვილი მარიამი, მათიკაშვილი, კვანტალიანი, ჩამბა, ხიმშიაშვილი ტ; ჯატიევი, შაბანოვი, ლორთქიფანიძე, გოგია, ქურდაძე, ვაშაძე, ვარაძიშვილი, ელისაბედაშვილი—უპარტიო, ვასილი პარასკევა (სენაკი), შოგირაძე მათე (ზუგდიდი), ლობილაძე ვერა (რაჭა), ხახნელიძე (ლეჩხუმი). უპარტიო—ნაზი ისკანდერ ოღლი (ახალციხე), მინასიანი ისკუნ (ახალქალაქი), შუშნაშვილი თებრო (დუშეთი), დარჩია თეოლინა (ოზურგეთი) ბერიძე ნიმუში (აჭარა).

სეკრეტარიატში:

სვანიძე, გობეჩიაშვილი, ბედია მაკარი, ღვამიჩავა, წულუკიძე ი., გიორგაძე არჩილი, ბახტაძე ვალენტინი.

სამანდატო კომისია:

ივანოვ-კავკაზსკი, ცინცაძე პარმენი, შოგირაძე, რამიშვილი, სონღულაშვილი—თბილისი.

სარედაქციო კოლეგია:

ასრიბეკოვი, კიკნაძე, ნიკო, საყვარელიძე პავლე, ელენტი თენგიზ, კვაჭაძე.

საზეიმო სხდომის დასრულების შემდეგ დელეგატების საპატივსაცემოთ გაიმართა წარმოდგენა. დადგმულ იქნა „მზის დაბნელება საქართველოში".

(შემდეგი იქნება).

*) გამოდის ბერლინში გრ. ვეშაპელის რედაქტორობით „ახალი საქართველო" ჯგუფი, ქართველ ემიგრაციის ნაწილი, რომელიც იბრძვის საბჭოთა საქართველოს გამარჯვებისათვის.

# ჩხრეკა და დაპატიმრება.

პოლიციამ მოახდინა რადომში (პოლონეთში) მასიური ჩხრეკა და დააპატიმრა 60 კაცი კომპარტიის წევრობისათვის.

# განსვენებული მეგობრების გვერდით.

ხუთ აპრილს ერთ და იმავე დროს დაასაფლავეს ამხ. ამხ. ვლადიმიროვი მოსკოვში და მარხლევსკი-ბერლინში. მარხლევსკის ნეშტი მოათავსეს მის უახლოეს თანამებრძოლთა-როზა ლიუქსენბურგის, კარლ ლიბკნეხტის, ლეო ტიშკოს (იოხიგესის) გვერდით.

# საბჭოთა კავშირის საელჩოს მდივანი შიდეხასასთან.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიდეხასამ მიიღო პეკინში მყოფი საბჭოთა ელჩის მდივანი კუზნეცოვი.

კუზნეცოვი მეტად მეგობრულად იქნა მიღებული.

## ველტისა და იულგეკუტის დახვრეტა.

სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა დახვრეტა ესტონეთის სახელმწიფო კრების წევრებს ველტსა და იულგეკუს აჯანყებაში მონაწილეობისათვის.

ველტის ბრალდება აგებული იყო ერთი მასწავლებელი ქალის ჩვენებაზე, რომელსაც ვითომც ენახოს ველტი აჯანყებულთა შორის.

## ლოძის უმუშევართა მოთხოვნილება.

ლოძის უმუშევრები მოითხოვენ უმუშევართა დახმარების მომატებას 10 პროც.-ით.

# უჯრედების მდივანთა და აგიტპროპ-მომუშავეების თათბირი.

## უჯრედი, ნაწილის აღმშენებლობა და დისციპლინა.

**ამხ. კრუგლიკოვის მოხსენება.**

უჯრედის ძირითადი ამოცანა ნაწილის აღმშენებლობაში მდგომარეობს იმაში, რათა განმტკიცებულ იქნას წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობა.

ყოველგვარი გაურკვევლობა ამ საკითხში მოსპობილ უნდა იქნას პარტორგანიზაციების მიერ. აქ რა თქმა უნდა ანგარიში უნდა გაეწიოს არმიის პირობების თავისებურობას. პრაქტიკული საკითხების განხილვა არ უნდა სწარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ უჯრედის ფარგლებში. მუშაობა დაკავშირებულ უნდა იქნას ფართე უპარტიო მასებთან.

დისციპლინის განმტკიცების საკითხი სამხედრო აღმშენებლობის პირველ ხარისხოვანი ამოცანაა. ცოცხალი მაგალითებით უნდა აეხსნას წითელ-არმიელებს მუშაობა დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

**შინა პარტიული მუშაობა.**

**ამხ. ციმანის მოხსენება.**

ჩვენი უჯრედების წინაშე სდგას ამოცანა: უნდა განმტკიცდეს საკუთარი, საკმაოდ ახალგაზრდა რიგები, რათა შესაძლებელი გახდეს უპარტიოთა შორის, ნაწილის სააღმშენებლო მუშაობის განვითარება.

მთელი მუშაობა მდგომარეობს შემდეგში: მოგვარებულ უნდა იქნას პარტიული დღის ჩატარება, განდევნილ იქნას მისგან ყოველგვარი „კაზიონშჩინა". კარგად უნდა იქნას დაყენებული პარტბიუროს მიერ უჯრედებზე ხელმძღვანელობის საქმე, უნდა განიდევნოს „კანცელიარშჩინა" მუშაობიდან და სხვა.

## პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის ძირითადი მომენტები.

**ამხ. სნეგირევის მოხსენება.**

ჩვენი მორიგი ამოცანაა ჩაბმულ იქნას წითელ-არმიელები მუშაობაში და განმტკიცებულ იქნას დისციპლინა. შემდეგი უმთავრესი ამოცანა ხელმძღვანელთა მომზადებაა მეცადინეობისთვის. კარგად უნდა იქნას დაყენებული აგრეთვე ანტი—რელიგიური პროპაგანდა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლენინის კუთხეებს. მთელი პოლიტმეცადინეობის მთავარი ძარღვი გადაბმულ უნდა იქნას მიმდინარე მომენტთან.

## ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება.

საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ორჯონიკიძემ.

მან აღნიშნა ჩვენი მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის ზრდა და ამასთან დაკავშირებით პარტიის წინაშე წამოჭრილი ამოცანები, რომელთა გადაჭრაც მოითხოვს დიდ მუშაობას.



ამხ. ორჯონიკიძე.

მომხსენებელმა დაახასიათა ამერიკის, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, ბალკანეთისა და სხვა სახელმწიფოების მდგომარეობა და აღნიშნა მათი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან.

**რევოლიუციონური მოძრაობა იზრდება, მაგრამ საშიშროება არ შემცირებულა.**

ილიჩი—განაცხადა, მომხსენებელმა—გვასწავლიდა ჩვენ, თუ როგორი სიფრთხილით უნდა მოვეპყრობოდით აღმოსავლეთის ხალხებს. ჩვენ ამას ვასრულებთ. ჩინეთი ჩვენი საუკეთესო მოკავშირე გახდა. იაპონიასთან ხელშეკრულებამ საბოლოოდ განამტკიცა ჩვენი მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში. ინდოეთში არ სწყდება რევოლიუციონური მოძრაობა. ოსმალეთი მტკიცედ სდგას ეროვნულ დამოუკიდებლობის გზაზე და აძლიერებს მეგობრობას საბჭოთა კავშირთან.

საგარეო ფრონტზე გამარჯვება აიხსნება ჩვენი ძლიერებით შიგნით. მაგრამ ჩვენი ძლიერების ზრდასთან ერთად გაძლიერდება მსოფლიო კაპიტალის სურვილი თავს დაგვესხან. ეს უნდა ახსოვდეს ყოველ ჩვენგანს.

ამიტომ, რამდენადაც ძლიერი იქნება ჩვენი არმია, მისი დისციპლინა და ბრძოლის უნარიანობა, მით ნაკლები საფრთხე იქნება ჩვენზე თავდასხმის.

**განამტკიცე მუშებისა და გლეხების კავშირი.**

მუშათა კლასის ნამდვილი მოკავშირე ჩვენში გლეხობაა. მისი მეურნეობა მოღონიერდა, ჩვენი ამოცანაა—კიდევ უფრო გავაძლიეროთ ის. ჩვენს გლეხობასთან ერთად ჩვენ უნდა ვაშენოთ ჩვენი კავშირი. მაგრამ ეს მუშაობა რომ წარმატებითი სწარმოებდეს, საჭიროა ჩავაბათ ამ აღმშენებლობაში გლეხთა მასები. ვერას დროს ჩვენ ვერ ავასრულებთ ბელადის ანდერძებს საკოოპერაციო აღმშენებლობაში, თუ ამ მუშაობაში არ იქნება მიზიდული ათეული მილიონი გლეხობა.

**უჯრედებო, მეტი კავშირი უპარტიო წითელ არმიელებთან.**

ორი სიტყვა არმიის უჯრედების მუშაობის შესახებ. მე არ მქონდა საშუალება მომესმინა ყველა უჯრედების წარმომადგენელთა მოხსენებები.

მაგრამ საკმაოა ისიც, რაც მივისმინე პირდაპირ და გულახდით უნდა ითქვას: ამ მუშაობაში ბევრი „კაზიონშჩინა" და მოსაჩვენარი მხარეა.

აქ ბევრი ითქვა იმის შესახებ, თუ როგორ იკრიბებიან უჯრედები, როდის ირჩეოდა საკითხები ამა თუ იმ ამხანაგის დანაშაულის შესახებ, მაგრამ არსად ჩანდა ის საკითხები, რომლებიც ეხებიან წითელ არმიელის ცხოვრებასა და აღზრდას, რომლებიც ეხებიან გლეხებისა და მუშების ცხოვრებას და მიტომ უჯრედების სხდომები მოდუნებულად მიდიან, ღია კრებებს წითელ არმიელები ნაკლებად ესწრებიან და დამსწრენი ვერ იჩენენ დიდ ინტერესს.

**მუშაობა უპარტიოთა შორის.**

**ამხ. არტის მოხსენება.**

გლეხის მეურნეობა ძლიერდება, სოფლის აქტიურობა სწრაფად იზრდება. პარტიამ უნდა შეაკავშიროს მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო შეძლებული გლეხობა და მოსპოს „კულაკური" მოვლენა სოფლად. ამ მხრივ დიდი მუშაობა უწევს არმიაში მომუშავე პარტიულ რაზმს, ვინაიდან წითელი არმია ერთ-ერთი შემაკავშირებელი რგოლია მუშათა კლასისა და გლეხობის.

საჭიროა წითელ-არმიელს კარგად შევაგნებიოთ მუშათა კლასის დამოკიდებულება გლეხობასთან და კავშირის აუცილებლობა მუშათა კლასის ხელმძღვანელობის ქვეშ. უპარტიოთა მასებში მუშაობის შინაარსი უნდა გამოიხატებოდეს კომუნისტური პარტიის როლისა და მნიშვნელობის ახსნა-განმარტებაში.

ამ მხრივ უჯრედის მუშაობას უნდა შეადგენდეს: აქტიურ წითელ არმიელთა გამოჩენა, მათი მიზიდვა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებში; მოჯამაგირეებიდან, ღარიბებიდან და საშუალო შეძლეთაგან გამოსულ აქტიურ წითელ-არმიელთა მიზიდვა პარტიაში და ლენ. ახკომ კავშირში.

ღია კრებები, როგორც უპარტიოთა შორის მუშაობის ფორმა, შენახულ უნდა იქნას მომავალ მუშაობაშიაც.

მაგრამ შეფარდებული უნდა იქნას ისე, რომ პარტმუშაობის სიმძიმის ცენტრი არ გადავიდეს ღია პარტკრებებისაკენ.

ამასთან საჭიროა გვახსოვდეს, რომ ღია კრებების ამოცანა არის არა აგიტაცია და ლექცია, არამედ უჯრედების წინაშე მდგომ საკითხების პრაქტიკული გადაჭრა, რასაც მიზნად აქვს გააცნოს უპარტიო წითელ-არმიელს, თუ როგორ სჭრის კომუჯრედი ამოცანებს კოლექტიურად.

მოხსენების ბოლოს არტო დაწვრილებით ეხება საერთო კრების მნიშვნელობას წითელ-არმიელთათვის.

ამხ. არტოს შემდეგ მოხსენებას აკეთებს პოლიტშემადგენლობის მომზადებისა და გადამზადების შესახებ—ამხ. გრიშენკოვი და მეთაურის პოლიტ-საინსტრუქტორო მომზადების შესახებ—ამხ. ნოვოკრეშჩენკოვი.

„კრ. ვ."

# მიმართვა ყველა ნაწილებისადმი.

1925 წლის 27 მარტს მე-2-ე დივიზიის პოლიტ-განყოფილებაში შესდგა გაზეთ „წითელი არმიელის" მეგობართა საზოგადო დამფუძნებელი კრება, რომელიც მიზნად ისახავს გაზეთის ტეხნიკურად და მატერიალურად გაუმჯობესებას და მის გავრცელების საქმეს.

საინიციატივო ჯგუფი მიმართავს მხურვალე თხოვნით ყველა ნაწილებს მიიღონ ენერგიული მონაწილეობა ამ საზოგადოების მუშაობაში, ნაწილებში მისი განყოფილებების დაარსების გზით. საინიციატივო ჯგუფი იწვევს 4 ლეგიონს ამხ. უგლავას და ლეგთავის ზაალიშვილის სახით, მე-5 ლეგ. ამხ. მ. ახვლედიანის და ცინცაძის სახით, მე-6 ლეგ. ამხ. ბერიძის და გრიგოლიას სახით, მე-2 არტლეგ. ამხ. იოსელიანის და ბარაძის სახით, მესანგრე ასეულს ამხ. ქურიას და ნაქაძის სახით, საკავშირო ასეულს ამხ. პაზუშკოს და ჩხიკვიშვილის სახით, 1 ლეგ. ამხ. ბაახიას და შავდიას სახით, 1 არტლეგიონს ამხ. მგალობლიშვილის და ფოფხაძის სახით, 1-დივ. საკავშირო ასეულს ამხ. ქელიძის და ებანოიძის სახით, მესანგრე ასეულს ჯავახოვის და ჯიქიას სახით. სამხედრო სკოლას ამხ. გედევანიშვილის და ქკუასელის სახით, პოლიტ-სკოლა ამხ. ნადარეიშვილის სახით. რევტრიბუნალს ამხ. ენუქიძის სახით, „ევკოგრუზს" ამხ. ილიკო ებრალიძის და კალანდაძის სახით.

საინიციატივო ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მათი მოწოდება ფართედ ჰპოვებს გამოძახილს ყველა ნაწილებში.

საინიციატივო ჯგუფის წევრნი:

დივმეთაური ქუთათელაძე
სამხკომი მარკაროვი
ტიგიშვილი
ლომიძე
ადამიძე
მურადოვა და
გამრეკლიძე.

# პარტიული ცხოვრება.

## ახკომკავშირელთა შორის.

გაერთიანებული კრება.

მარტის უკანასკნელ რიცხვებში არტლეგიონში მოხდა ახკომკავშირელთა გაერთიანებული ღია კრება.

დაესწრენ მუშფაკის ახკომკავშირელთა მესამე უჯრედის წარმომადგენლები.

დღის წესრიგში იდგა: 1) მოხსენება ახკომკავშირელთა ზნეობის შესახებ, 2) სპორტულ ინტერნაციონალზე და 3) ინფორმაციული მოხსენება მუშფაკის მესამე უჯრედის საქმიანობის შესახებ.

პირველ საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. მამალაძემ. ის შეეხო თუ როგორი ზნეობის მატარებელი უნდა იყოს თითეული კომკავშირელი. მოხსენება საკმაოდ ვრცლად შეეხო კომკავშირელის მოვალეობას, სხვა და სხვა დავალებების დროს, როგორი ენერგია უნდა გამოიჩინოს თითეულმა წევრმა და როგორი მაგალითის მიჩვენებელი უნდა გახდეს ის თავისი ბეჯითობით და პატიოსანი შრომით, მის გარშემო მყოფ უპარტიო ახალგაზრდობისათვის.

ძლიერ საინტერესო იყო აგრეთვე მოხსენება სპორტინტერნის შესახებ. აქ ჩვენ გავეცანით მის ისტორიას—მოღვაწეობას, ბრძოლას და გაფიცვებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მუშფაკის უჯრედს . წარმომადგენლის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თავის საქმიანობაში უჯრედს მიუღწევია ზოგიერთ წარმატებებისათვის. კრებამ მოიწონა მათი მუშაობა და გამოსთქვა სურვილი უფრო მჭიდროთ დაახლოვებოდენ სამხედრო ორგანიზაციების საქმიანობას, რომელიც გააძლიერებს მუშებისა და არმიელების ერთმანეთთან დაკავშირების საქმეს.

დაბოლოს კრებამ აირჩია საგაუბიცო ბატარეის უჯრედისათვის ახკორი და დაიხურა.

ახკორი ბ. ცაგარეიშვილი.

## ლენინის კუთხე კარგათ მოვაწყვეთ.

პირველი ლეგიონის უმც. მეთაურთა სკოლა.

დიდი ხანი არ არის რაც აღნიშნულ სკოლაში მოვაწყვეთ ლენინის კუთხე. სკოლის კურსანტთა მონდომებულმა მუშაობამ თავისი დაღი დაასვა კუთხეს. მრავალი განყოფილებები ძლიერ მიმზიდველად ხდის მას.

ლენინის განყოფილება, გეოგრაფიის განყოფილება, რემედიის და სხვა ერთი-ერთმანეთზე უკეთ არიან მორთული.

კუთხე ფუტკარივით იზიდავს კურსანტებს. თითეული თავისუფალი წუთი მათ მიერ ხმარდება კუთხეში მეცადინეობას, ჟურნალ-გაზეთების კითხვას და სხვა სასარგებლო საქმიანობას.

კუთხის უფრო კარგად მოსაწყობათ ლეგიონმა გადმოგვცა 15 მანეთი. მოგვდის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები. გამოუშვით ყოველ კვირეული კედლის გაზეთი, რომელშიდაც მხოლოდ კურსანტები თანამშრომლობენ. იმედია კურსანტები უფრო შეეცდებიან გააღრმავონ მომავლისათვის თავისი მუშაობა.

კურსანტი ჩიქაიშვილი.




# თბილისში მდგომ ნაწილების საყურადღებოთ.

## 1-ლი აპრილიდან გაზეთები მოიკითხეთ „წითელ არმიელი"-ს რედაქციაში.

## არტლეგიონის ცხოვრებიდან.

სამხედრო საქმე.

არტლეგიონის წითელ არმიელთა მეცადინეობა სამხედრო დარგში სისტემატიურად მიმდინარეობს. წითელ არმიელები გულდასმით და ბეჯითად ეკიდებიან ამ საქმეს და სასურველ შედეგებსაც მიაღწიეს. საზამთრო მანევრებში ძველ წითელ არმიელებთან ერთად თითქმის ყველა შემოდგომაზე გამოწვეული წითელ არმიელები ღებულობდენ მონაწილეობას. ზოგი მათგანი მომიზნეებათაც მუშაობდენ. საზოგადოდ სამხედრო დარგში მეცადინეობა კარგ ნიადაგზეა დაყენებული და უნდა ვიფიქროთ, რომ ეხლანდელი წითელ არმიელები სამხედრო დარგში სავსებით მომზადებული დაუბრუნდებიან სოფელს.

უფროსთა და წითელ არმიელებს შორის ძმური, ამხანაგური კავშირია, რაც ხელს უწყობს დისციპლინის ზრდას.

სამხკორი ლ—ო.

## საბიბლიოთეკო სემინარი.

ხუთშაბათს, 2 აპრილს დივიზიის ბიბლიოთეკაში შედგა საბიბლიოთეკო სემინარის მორიგი მეცადინეობა. დღის წესრიგში იყო:-1 ამხ. კალინინას მოხსენება საბიბლიოთეკო სტატისტიკაზე და II ამხ. ბარხუდაროვის მოხსენება—საინვენტარო წიგნზე.

ამხ. კალინინა შეეხო ზოგადათ სტატისტიკის მნიშვნელობას, მის ისტორიას და აღნიშნა სტატისტიკის აუცილებელი საჭიროება საბიბლიოთეკო საქმის სწორეთა და სასურველათ წარმოებისთვის. მან, თვალსაჩინო მაგალითებით გრაფიკული ტაბულები წარმოადგინა—საბიბლიოთეკო სტატისტიკისათვის... საერთოდ მოხსენება იყო მოკლე და დამაკმაყოფილებელი. დასასრულ აღგილი ქონდა მცირე კამათსა და შეკითხვებს.

მეორე მომხსენებელმა, ამხ. ბარხუდაროვმა მსმენელებს გააცნო საინვენტარო წიგნის საჭიროება წიგნების სწორ აღრიცხვისათვის და ბიბლიოთეკის ქონების სწორეთ შესაფასებლათ. შემდეგ გადავიდა საინვენტარო დავთრის თითეული გრაფის ცალ-ცალკე განხილვაზე და მაგალითისთვის ხელმძღვანელობდა ხავკინას წიგნით.

რადგანაც მომავალი სემინარული მეცადინეობა დათმობილი აქვს საერთოთ საბიბლიოთეკო ტეხნიკის გამარტივებას საბოლოო დასკვნებისათვის, როგორც პირველი მოხსენების ნაწილი (კოლექტიური აბონემენტების სტატისტიკა და აგრეთვე მოძრავ სამკითხველოისა) ისე მეორე მოხსენებაც გადაიდო კვირისთვის საბოლოოთ განსახილველათ.

ამ დღისთვის დავალებული აქვთ ამხანაგებს მოკლე კონსპექტების წარმოდგენა—განსახილველათ შემდეგი წესით:- საინვენტარო წიგნი-ამხ. კალინინას, ასეულის ბიბლიოთეკა-ამხ. ჩიჩუას, კატალოგი—ამხ. ლორთქიფანიძეს. წიგნების დალაგება—ამხ. შავგულიძეს და სხვა.

ანზორა.

## დისციპლინა მტკიცეა. წითელ არმიელებთან დამოკიდებულება ამხანაგურია.

პირველი ლეგიონი.

ამ ბოლო ხანებში ჩვენს ლეგიონში ძლიერ გამოცოცხლდა მუშაობა. ყველა, ჩვენს ცხოვრებაში წამოჭრილ საჭირბოროტო საკითხებს თავის დროზე ექცევა ყურადღება და სათანადოთსწყდებიან. წითელ-არმიელებსა და მეთაურთა შორის კარგი განწყობილებაა.

მართალია ლეგიონის ცხოვრებაში კიდევ აქვს ზოგიერთ დეფექტებს ადგილი, მაგრამ უყურადღებოთ მაინც არ რჩებიან ლეგიონის ხელმძღვანელებისაგან და ამ მოკლე დროში გამოსწორებული იქნებიან.

წითელ-არმიელთა შორის სისტემატიურად სწარმოებს სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის მეცადინეობა.

მეცადინეობას ხშირად ესწრებიან ლეგიონის სამხკომი და მეთაური.

წ.-არმიელები ენერგიულად ეკიდებიან პოლიტიკური და სხვა ხასიათის ლიტერატურას. დისციპლინა მტკიცეა ყველა ასეულებში. იშვიათად, რომ ვინმეს დაერღვიოს სამსახურის ასრულების დროს დისციპლინა. თავისი მოვალეობა თითეულ არმიელს კარგათ აქვს გათვალისწინებული. ყველა ასეულებში დაარსებულია სხვა და სხვა წრეები, რომლებშიდაც ნაყოფიერად სწარმოებს მეცადინეობა.

ყოველ უქმე დღეებში ლეგიონის ეზოში იმართება ცეკვა—თამაში და სხვა და სხვა გართობა.

ლეგიონის თავი ამ გართობაში ყოველთვის წითელ-არმიელებს შორის იმყოფება.

სამხკორი ს. იმნაიშვილი.

## წითელ-არმიელ ამხ. ჩ ა ფ რ ა ძ ი ს ხსოვნას.

ეს რამოდენიმე დღეა, რაც მეექვსე ტერლეგიონის რიგებს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გამოაკლდა ერთი ენერგიული, თავისი მოვალეობის პირნათლად-სინდისერად შემსრულებელი წითელ არმიელი ამხ. ჩაფრაძე.

ბუნების უხილავმა ძალებმა სამუდამოდ მოგვწყვიტა ერთი საყვარელი ადამიანთაგანი. ამხ. ყოველთვის მედგრად იდგა მშრომელთა ინტერესების დაცვის სადარაჯოზე.

მეექვსე ლეგიონის არმიელები და მეთაურები ჩვენს მწუხარებას უერთებთ საყვარელ ამხანაგის მშობლების მწუხარებას და ვფიცავთ მისი ხსოვნის წინაშე, რომ იმ საქმეს, რომელსაც ისემსახურებოდა ასე ერთგულად ჩვენც არ ვუღალატებთ მას.

ა. გიოშვილი.

## რა გვაკლია.

3-მე ლეგიონი.

ამ ჟამად ლეგიონში ნორმალურად სწარმოებს მეცადინეობა. უმთავრესი ყურადღება აქვს მიქცეული პოლიტიკურ და სამხედრო სწავლების საქმეს, მაგრამ ერთი რამ მაინც გვაკლია და ეს თავისებურ დაღს ასვამს ჩვენს ლეგიონს. უმთავრესად შეეხება ეს სამხედრო საქმის შესწავლას.

ვინც არ უნდა შემოვიდეს ჩვენს ყაზარმებში, მას აუცილებლად გადაეშლება თვალწინ ათასგვარი პოლიტიკური ხასიათის პლაკატები, ლოზუნგები და სხვა და სხვა შინაარსის კუთხეები. მაინც, ეს არაა საკმარისი.

ლეგიონში არა გვაქვს სურათები სამხედრო საქმიდან, როგორიცაა: სროლის ხაზი-(ტრაექტორია) თოფების სურათები, სხვა და სხვა მოქმედებანი, სასანგრო მუშაობანი, როგორიცაა: დგომით სანგარი, წოლით, ჩოქით სროლის პროფილიანი სასროლ საფეხურიან სანგარი, ხელოვნური დაბრკოლებანი და სხვა. ეს გარემოებანი დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს. ლეგიონმა ყოველ-გვარი ზომები უნდა მიიღოს: მათ შესაძენათ. უამათოთ შეუძლებელია წითელ არმიელმა თვალსაჩინოთ შეითვისოს თეორიული სამხედრო სწავლება. მეორე მხრივ სურათები ძლიერ აადვილებს პრაქტიკულ მეცადინეობას. დანახული უფრო ადვილი შესასრულებელი იქნება საქმეზე.

საჭიროა დივიზიამ სათანადო მზრუნველობა გამოიჩინოს და მოგვაწოდოს სამხედრო სწავლის თვალსაჩინო სურათები.

სამხკორი ტატიანელი.

## ქურდის ადგილი საზრალმდებლო სკამზეა.

3-მე ლეგიონს ყავდა სპორტ. წრის ხელმძღვანელად, ახკომკავშირელი აკაკი კოდუა.

აღნიშნულმა პიროვნებამ ხუთ თვეზე მეტი იმსახურა ლეგიონში და ამ ხნის განმავლობაში ლეგიონში არ დარჩენილა, ისეთი მეთაური, რომლისთვისაც არაფერი გამოეტყუოს და არ გაეყიდოს. ასევე ექცეოდა ეს ვაჟბატონი წითელ-არმიელებსაც. მისი ასეთი ზნედაცემულობა ბოლოს გამოაშკარავდა, დაინიშნა კვლევა ძიება. კოდუამ ეს გაიგო, მაგრამ ისე არ გაიპარა ლეგიონიდან, რომ კიდევ არ ჩაედინა ქურდობა. გაპარვის წინა დღით მან გაიტაცა ლეგიონიდან და გაჰყიდა ერთი სათამაშო ბურთი და ყველა ის პოდოშვები, რომლებიც გაიღეს მეთაურებმა სასპორტო იარაღების მოსაწყობათ.

თვითონაც უგზო უკვლოდ მიიმალა. ავერ თვენახევარი იქნება რაც აღარ გამოჩენილა.

როგორც ქურდი და ზნეობრივად დაცემული ის გამორიცხული იქნა ახალ გაზრდა კომკავშირის რიგებიდან და ზიზღს უცხადებს ჩვენი ლეგიონის მთელი შემადგენლობა, როგორც ზნედაცემულ პიროვნებას.

კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი ტრიბუნალი ამ პიროვნებას მიუჩენდეს თავის ადგილს.

პარტკორი. **ჭკადუა.**

## ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ?

ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ ერთი თვით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს.

**თბილისიდან.**

1. სერგო თაბაგარს 2. ია. მიქაძეს 3. მიშა ჭიპაშვილს. 4. შალ. ჭიპაშვილს 5. ეორა მიქავას 6. ნ. შავგულიძეს.

**ხარაგოულიდან.**

7. **რაიკომის** მდივანს ამხ. იაკო მარიქაძეს 8. ალმას. თავმჯდომარე ვანო თამუკაშვილს 9. იაკიმე ფოფხაძეს 10. სახ. მოსამართლეს სერგო ნანიკაშვილს

**ზესტაფონიდან.**

11. ალმ. თავ-რე ნიკ. შაროქაძეს. 12. რაიკომის მდივანს დ. გულოვს 13. გრ. მღვდელიძეს 14. მიხ. შაროქაძეს. 15. კირ. ბარამიძეს. 16. კ. კ. რ. მდივანი მენაბდეს.

**ნ. ბლუაშვილი.**

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲔᲑᲘ.

**(კავკ. არმიის პირველი მესანგრეთა დივიზია).**

მარტის შუა რიცხვებში ჩვენი მეორე ლეგიონის შემადგენლობა ესტუმრა 1 კავკ. მესანგრეთა დივიზიის ნაწილს. ცნობის მოყვარეობით დაუწყეთ თვალიერება ყოველი წვრიმალს. გვაინტერესებდა თუ როგორ ცხოვრობდენ ჩვენი უფროსი ძმები, როგორი დისციპლინა აქვთ, როგორ ეკიდებიან სწავლა განათლებას და სხვა·

ყველა ეს საინტერესო იყო ჩვენთვის, რადგან ქართული წითელი ჯარი სწავლობს ჩვენი უფროსი ძმის—რუსეთის წითელი—არმიის გამოცდილებებიდან. მათ ჩვენზე მდიდარი ისტორია და გამოცდილება აქვთ. ჩვენი ყურადღება მიიპყრო მესანგრეთა დივიზიის წითელ—არმიელთა საუცხოვო დისციპლინამ და ერთმანეთისადმი ამხანაგურმა დამოკიდებულებამ. ყველა არმიელები ცოცხლად გამოიყურებიან, ჩაცმული არიან სუფთად, წითელ ყაზარმებში, სადგომ ბინებში და ეზოში დიდი სისუფთავეა დაცული.

წით. არმიელთა შორის ვერ გაიგონებთ ერთ უწმაწურს იტყვას—დედის გინებას. უყურებთ ამ სიცოცხლით აღსავსე ახალგაზრდობას და გული გიცემთ·

თქვენ წინ სდგას არა ძველი მეფის ბრმა იარაღი და უხეში ძალა, არამედ სრულიად შეგნებული ახალგაზრდა—წითელ-არმიელი, რომელიც მზად არის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას ოქტომბრის მონაპოვარი·

**კლუბი.**

დავათვალიერეთ ნაწილის მშვენივრად მორთული პატარა კლუბი. ყველგან შესაფერი პლაკატები· რუქები და სურათები. ყველაფერს ეტყობა იშვიათი მზრუნველის ხელი და წით. არმიელთა თვით შემოქმედება. კედლები დაფარულია ლენინის ლოზუნგებით და სურათებით.

**ლენინის ოთახი.**

იქვე კლუბთან მოწყობილი აქვთ ლენინის ოთახი, სადაც იშვიათი გემოვნებით არის დალაგებული ყველა საგნები, პლაკატები. ეტყობა ეს ამხანაგები დიდი სურვილით ეტანებიან გათვითცნობიერებას და ლენინიზმის შესწავლას.

აი რა გვითხრეს ჩვენ ნაწილის არმიელებმა: „ყოველ თავისუფალ წუთს აქა ვართ თავ—მოყრილი. ზოგი ვკითხულობთ, ზოგი ვსწერთ, რამოდენიმე ამხანაგი შეჯგუფებული ათვალიერებენ რუქას ეძებენ თავის გუბერნიას, ანგარიშობენ რამდენი ვერსით ყოფილა ის დაცილებული თავის გუბერნიას. ზოგი თამაშობს შახმატს, დამკას და ერთობიან, ისვენებენ და ვითარდებიან.

**კედლის გაზეთი.**

„მესანგრეს სიმართლე“ (правда сапера) ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს როგორც გარეგნული მხატვრული მხრით ისე თავის შინაარსით.

ეს კედლის გაზეთი ნათელი სარკეა რუს მესანგრეების ცხოვრებისა და შემოქმედების.

ეტყობა „მესანგრეს სიმართლე“ არავის არ ინდობს, ვინც კი გადაუხვევს საერთო ხაზს და დაარღვევს წესრიგს.

**სამეურნეო ფრონტებზე მუშაობა.**

ნაწილის დათვალიერების შემდეგ, მოეწყო გაერთიანებული კრება. მოხსენებით გამოვიდა ამხ. უსაჩოვი, საიდანაც გამოირკვა თუ როგორი მონაწილეობა მიუღია ნაწილს სამეურნეო ფრონტზე. მაგალითად: დიდი დახმარება გაუწევია ნაწილს ჩვენი გლეხებისათვის და ამას ისინი დიდი სიამოვნებითაც იგონებენ.

აქტიური მონაწილეობა მიუღიათ ქუთაისის ახლოს სარწყავი არხის გაყვანაში, სამხედრო გზის შეკეთებაში, ელექტრონის სადგურის აგებაში და სხვა.

შემდეგი მოხსენებებით გამოვიდა ჩვენი მეორე ლეგიონის სამხკომი ამხ. ელიაშვილი, რომელმაც მოუწოდა კრებას აირჩიონ ქალაქის საბჭოში მომზადებული და ენერგიული მუშაკები.

არჩეულ დელეგატებს კრებამ მისცა ნაკაზი, სადაც აღნიშნული იყო: 1) ქალაქში წითელ არმიელთა კლუბის გახსნა, 2) წითელ არმიელთა დასასვენებელი სახლის გახსნა და 3) პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლა.

სამხკორი **გუჯაბიძე.**

## ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

**მოძრავი დასი სოფლათ.** თელავის სამაზრო გლეხკომის თაოსნობით შესდგა მოძრავი დრამატ. დასი, რომელიც იმოგზაურებს სოფლებში და გამართავს უფასო წარმოდგენებს.

**დახმარება ავათმყოფ გლეხებს.** ოზურგეთის გლეხკომმა საექიმო დახმარება გაუწია საავათმყოფოში მოთავსებით 10 ღარიბეს გლეხს.

**გზის გაყვანა.** სოფ. მლაშის (ახალციხის მაზრა) გლეხკომმა გაიყვანა გზა სოფ. მლაშიდან სოფ. ზასავამდე.

**წისქვილების აშენება.** სოფ. ჭარალაში და ორჭოშანში (ახალციხის მაზ.) ადგილობრივი გლეხკომი აშენებს წისქვილებს საამშენებლო მასალა უკვე მიტანილია ადგილზე.

**საექიმო პუნქტები.** გორის აღმასკომი ხსნის საექიმო პუნქტებს კიდევ, სოფ. კასპში და თეზში.

**გლეხთა სახლი სიღნაღში.** სიღნაღში უკვე შეუდგენ გლეხთა სახლისათვის, შენობის შეკეთებას.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

— **რკინის გზელთა სახახლე.** ა. კ. რკ. გზელთა პროფკავშირმა შუამდგომლობა აღძრა ტფ. აღმასკომის წინაშე პლეხანოვის პრ. № 138 სახლის მათთვის გადაცემის შესახებ რკინის გზელთა სასახლის მოსაწყობათ.

— **მუშათა ბინების აღმშენებლობის** ფონდის გასაძლიერებლათ ტფ. აღმასკომმა გადასწყვიტა გადასდოს გადასახადიდან 5 პროცენტი.

— **ტაბახმელის** საშრატე სადგურის საჭიროებისათვის ხარების შესაძენად ტფ. აღმასკომმა გადასდო 15 ათასი მანეთი.

— **სესხი აღმშენებლობისათვის.** მუშათა ბინების საალმშენებლო დამხმარე კომიტეტს ტფილისის აღმასკომმა გაუხსნა სესხი კომუნალურ ბანკში 50 ათასი მანეთის რაოდენობით.

— **ბრძოლა საქ. ჭირთან.** ტფილისის მაზრაში საქონლის ჭირთან ბრძოლის გასაძლიერებლათ აღმასკომმა გადასდო 15 ათასი მანეთი.

— **ახალი ამბულატორიები.** დაზღვეულთა დახმარების საექიმო განყოფილება ხსნის ახალ ამბულატორიებს და კბილის საექიმო კაბინეტებს.

— **პენსიების მიცემა** შრომისა და ომის ინვალიდებისათვის უკვე დაიწყო და გაგრძელდება 11 აპრილამდე.

— **დახმარება უმუშევრებს.** დღეს უმუშევართა დამზღვევი განყოფილება დაიწყებს დახმარების მიცემას იმ დაზღვეულ უმუშევრებისათვის, რომელნიც თავის დროზე ვერ გამოცხადდენ დახმარების მისაღებათ.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

გაზეთ „წითელ არმიელის“ № 73 მოთავსებულია ამხ. თელიას წერილი, რომლითაც მიწვევს გამოვიწერო გაზეთი „წითელი არმიელი“.

ვიწერ სამი თვით გაზეთს „წითელ არმიელს“ და ამასთანავე ერთად ნება მომეცით გამოვიწვიო შემდეგი ამხანაგები: ლეგიონის თავი მიხ. შავდია, სამხკომი ი. ბაახია, ათასეულის თავი კვარაცხელია და გეგელია, შტაბის უფროსი კოტორანცი, ლეგსკოლის უფროსი შოთაძე. ასეულის თავები: ერაძე და მამულაშვილი.

პირველი ლეგ. პირველი

ათასეულის თავი **ჯაფარიძე.**

## ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ.

**ᲙᲘᲗᲮᲕᲐ.**

შეიძლება თუ არა წარსული თვის სურსათის მიღება მეორე თვეში და როგორ უნდა მოვიქცე ამ შემთხვევაში?

წ. არ. ბ. შ—ძე.

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ**

საჭიროა ცნობა თუ რა მიზეზით არ მიგიღიათ. იმ შემთხვევაში თუ შვებულებაში იყავით, მაშინ სურსათი სრულიად არ გეკუთვნით და თუ ნაწილში იყავით გაუგებარია რათ არ მიიღეთ თავის დროზე კმაყოფა.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

ამხ. **ძიროვნელს.** თქვენი კორესპონდენცია. „ჩვენი რიგებიდან უნდა გაიცოცხოს“ გამოგადგებათ ადგილობრივ კედლის გაზეთში.

ამხ. **გ. გურგენაძეს.** „მესამე ასეულის მდგომარეობიდან“ არ გავა. ამის შესახებ ჩვენს გაზეთში იყო.

ამხ. **ზუმბაძეს.** კორესპონდენცია „პირველი ლეგ. სკოლის ცხოვრებიდან“ არ გამოდგა. მოგვწერეთ არსებითად კურსანტთა ცხოვრების შესახებ.

ამხ. **ს—ნ.** წერილი: „საღამო ჩვენს კლუბში“ არ გამოდგა.

ამხ. **ს. დოლიძეს.** თქვენი შეკითხვაზე გაუწყებთ რომ თქვენი წერილი „ტერიტორიალურ ჯარის ინსტრუქტორ—ორგანიზატორთა შესახებ“ რედაქციას არ მიუღია.

ამხ. **საანიშვილს.** თქვენი წერილი 7 ასეულის ცხოვრებიდან არ დაიბეჭდება. თქვენ არ იტყობინებით თუ რომელ ლეგიონს ეკუთვნის აღნიშნული ასეული.

ამხ. **ღელეს პირელს.** კორესპონდენცია „ფიცხი ყმაწვილი“ გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ.

## ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ?

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 2. კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ-პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს.

1. **იოსელიანი ლეონტი დიმიტრისძე.**
2. **ყიფიანი** შალვა გიორგისძე.
3. **ლომთაძე** ვალერიან ნიკოლოზისძე ა. ლ. კ. კ. წევრები.
4. **კაცაძე** შალვა ლუკასძე.
5. ბერიძე სერგო ვარლამისძე.
6. **შანიძე** ერშტენ დურსუნისძე.
7. **ქარამანიშვილი** პლატონ ლუკასძე.

ზემო აღნიშნულ ამხანაგების შესახებ თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო მოეპოვებათ, ვთხოვთ გვაცნობონ შემდეგი მისამართით ერთი კვირის განმავლობაში.

**(ვაკე) ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა.**

**უჯრედის პასუხისმგებელი მდივანი კ. სოხაძე.**

ქართულ სამხედრო ტრიბუნალის კომუჯრედში შემოსულია განცხადებები შემდეგი ამხანაგების:

1. ეორეთლაძე დავით ქაიხოსროს-ძის (გამომძიებელი)
2. ზუბიაშვილი ნიკოლოზ ალექსის-ძის (ტეხნიკური მომუშავე).

რომელნიც თხოულობენ იყონ მიღებულნი კომუნისტური პარტიის კანდიდატებათ.

ვთხოვთ თუ ვისმეს აქვს რაიმე მამხილებელი აღნიშნულ ამხანაგების წინააღმდეგ გვაცნობოთ 10 აპრილამდი შემდეგი მისამართით

**სასამართლოს ქუჩა № 32.**

კომუჯრედის მდივანი **ბაბლიძე.**

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 3 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიაში კანდიდატად შემოსვლის შესახებ შემდეგ ამხანაგებს.

1. გურაბანიძე პოლიკარტე ლეონტის-ძე. რაჭის მაზრის, სოფელ-ზემო-თლუხის·
2. აბრამიძე პავლე ივლიანის-ძე-ქუთაისის მაზრა სოფ. ვანი.
3. დანელია სერგო დათას-ძე. სენაკის მაზრა სოფ. ლეხაინდრაოში.
4. ფხაკაძე ბიქტორ ილიას-ძე.

ქუთაისის მაზრა, ქალაქ ქუთაისის მცხოვრები.

ყველა ამხ. უპარტიოებია.

თუ ვისმეს მოეპოება ამხ. კანდიდატად მიღების შესახებ, საწინააღმდეგო ცნობები, გთხოვთ მოგვაწოდოთ კომუჯრედის პრეზიდიუმს ორი კვირის განმავლობაში.

**ქართ. გაერ. მეთ. სკ. № 3. კომუჯრედი.**

**მე-5-თე ქართულ ლეგიონის მე-9 რე ასეულის კომუჯრედში** განცხადება აქვთ შემოტანილი კომპარტიის კანდიდატებათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

**უნცროს მეთაურები:**

1. **თევდორაძე** ვასილი პეტრეს-ძე
2. **ჯანყარაშვილი** ქრისტეფორე მალხაზის-ძე

**წითელ არმიელი:**

1. **სვანიშვილი** ვასილი.

თუ ვინმეს აქვთ რაიმე უარყოფითი ზემოაღნიშნულ ამხანაგების შესახებ გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები 10 დღის განმავლობაში ქ. **ბათომი ტფილისის ქუჩა № 41.**

პ. მგ. მდივანი: **მ. მექვაბიშვილი.**

**1. ქ. მ. დ. სამხედრო პოლიტსკოლის უჯრედში** შემოტანილია განცხადება ა. კ. კ. წევრის იოსებ მალალაშვილის მისი პარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ. ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში შემდეგი მისამართით:

ავლაბარი, სამხედრო პოლიტიკური სკოლა.

კომუჯრედის პ. მგ. მდივანი **მითაიშვილი.**

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** პირველ ცალკე მესანგრეთა ასეულიდან აირაპეტ აგაიანეოს სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა წიგნაკი. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.